საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1706/01
23/02/2022

1706-01-2-202202231026

სს „საქკაბელს“

მის: საირმის ქ. №83

ელ. ფოსტა: office@sakcabel.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის პირველი თებერვლის №1426 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი ეთმობა სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც განხილული და შეფასებულია 2017 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და შეფასებული კომპანიის მიერ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით (სხვადასხვა საამქროებში ახალი დანადგარების დამატება) გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, არ არის წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ არის გათვალისწინებული ისეთი დანადგარების დამონტაჟება, რომლებიც გამოიწვევს გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების გაზრდას. დოკუმენტის თანახმად, ზემოქმედება არ მოიმატებს ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე, ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე, ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებაზე, თუმცა, არ არის წარმოდგენილი სათანადო დასაბუთება;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სხვადასხვა საამქროებში გათვალისწინებული ახალი დანადგარების შესახებ დეტალური ინფორმაცია და მათი საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, დოკუმენტაციის მომზადების პროცესში დაზუსტდა მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე და შეადგენს 440 მეტრს, ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მითითებული 380 მეტრისა. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დასაბუთებას, შესაბამის სიტუაციურ გეგმაზე ჩვენებით;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იდენტიფიცირდება ახალი დანადგარები იმუშავებს არსებულის პარალელურად თუ მოდება მონაცვლეობითი ექსპლუატაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე